№ 0621-0565232 D 21 10 2021

შპს "გრინ გარდენ"-ს
ელ. ფოსტა: office@greengarden.com.ge; khosrov_kb@yahoo.com;
ტელ: 599 49 94 49; 599 55 20 05;

შპს "ჯორჯიან უოთერ ენ ფაუერმა" განიხილა თქვენი განაცხადი წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ (ურთიერთშეთანხმებით მიერთება) დათარიღებული 15.10.2021 წ; დარეგისტრირებული #IN21-0563021, 15.10.2021წ. სადაც ითხოვთ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების (ს.კ: 01.12.21.001.220; ს.კ: 01.12.21.001.221;) წყალმომარაგება-წყალარინებით უზრუნველყოფას.

გაცნობებთ, რომ დედაქალაქის წყალმომარაგების თვალსაზრისით, თბილისის წყალსაცავი წარმოადგენს სასმელი წყლის შეუცვლელ რეზერვუარს, რომელიც მუდმივად ივსება მდინარე არაგვის მაღალი ხარისხის ნედლი წყლით. თბილისის წყალსაცავიდან აღებული წყლით მარაგდება სამგორის რაიონი სრულად, გლდანის რაიონის დიდი ნაწილი, ასევე დიდუბის, ნაძალადევისა და ისნის რაიონის გარეუული ნაწილები - ჯამში 120,708 აბონენტი (რაც დაახლოებით 362,124 მომხმარებელია), ხოლო განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, თბილისის წყალსაცავიდან მომარაგებული აბონენტების რაოდენობა შეადგენს 224,609 (რაც დაახლოებით 673,827 მომხმარებელია). წლის განმავლობაში, ღრმაღელესა და სამგორის წყალაღების წერტილებზე განთავსებული სატუმბი სადგურების საშუალებით, უწყვეტ რეჟიმში, ხდება 190,000,000 კუბ. მეტრზე მეტი მოცულობის წყლის ამოღება წყალსაცავიდან, გადამუშავება და თბილისის მოსახლეობისათვის მიწოდება, რაც მთლიანი წყალმოხმარების 45%-ს შეადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრიტიკულად აუცილებელია თბილისის წყალსაცავის, როგორც დედაქალაქის წყალმომარაგების უალტერნატივო წყაროს, ეკოლოგიისა და წყლის ხარისხის დაცვა და ამასთან დაკავშირებით, წყალსაცავის გარშემო არსებული ტერიტორიების განაშენიანების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება.

თბილისის წყალსაცავის წყალშემკრები აუზის ფარგლებში გამოყოფილი განაშენიანების შეზღუდვის ზონის/არეალის, შემდგომი განვითარება/განაშენიანება უნდა მოხდეს ერთიანი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტის ფარგლებში, რადგან რამდენიმე ასეული (ან ათასეულზე მეტი) მიწათმოსარგებლის ინდივიდუალური სამშენებლო გადაწყვეტების ან/და ლოკალური გრგ-ების ფარგლებში, განაშენიანების არეალში კომუნიკაციების ძირითადი მაგისტრალების არარსებობის პირობებში, შეუძლებელია ერთიანი ტექნიკური გადაწყვეტების მიღწევა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თბილისის წყალსაცავის წყლის ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისთვის. აღნიშნული უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მთლიანი წყალშემკრებისთვის (38 კვ.კმ) შემუშავდეს განაშენიანების ერთიანი კონცეფცია საერთო ტექნიკური გადაწყვეტების გათვალისწინებით.

თბილისის წყალსაცავის სანიტარიულ ზონაში მშენებლობის დაგეგმვასა და სივრცით მოწყობას წინ უნდა უსწრებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროცედურა (სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება - სგშ).

განაშენიანების მთლიანი არეალის ფართობი და მშენებლობის განვითარების მასშტაბები საქართველოს გარემოსდაცვითი კოდექსით გათვალისწინებულ სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურას საჭიროებს. სგშ-ს მიზანია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინების უზრუნველყოფა. „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის"[1] თანახმად, აღნიშნული ინსტრუმენტი არასწორი დაგეგმარების შედეგად გამოწვეული შეუქცევადი ეფექტებისა და ხარჯებთან დაკავშირებული შეცდომების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა და ვრცელდება იმ აქტივობებზე, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია შემდეგ სახელმწიფო უწყებებთან:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამონისტრო;
- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

მოგახსენებთ, რომ ზემოაღწერილი პროცესის დასრულებამდე ,,კომპანია" მოკლებულია შესაძლებლობას თბილისის წყალსაცავის წყალშემკრები აუზის ფარგლებში გასცეს ტექნიკური პირობა წყალარინების ქსელის მოწყობაზე ან/და შეითანხმოს წყალარინების სისტემის მოწყობის საინჟინრო გადაწყვეტილებები/პროექტები, რადგან უსისტემო განაშენიანება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიწვევს შეუქცევად უარყოფით ზემოქმედებას წყალსაცავის წყლის ხარისხზე.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი

კომერციული დირექტორი

შემსრ: გ.სიხარულიძე
293 11 11(1535)
gsikharulidze@gwp.ge

[1] „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი" (სგშ-ს ოქმი) წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს ოქმის წევრი ქვეყნებისათვის სგშ-ს შესაბამისად დაკისრებულ ვალდებულებებსადა მისი განხორციელების პროცედურულ ჩარჩოს.
https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/Publications/2016/Protocol_on_SEA/SEA_facts_and_benefits_GEORGIA.pdf